მაია კოპალეიშვილი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე (2009-2019)

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შემავსებელი ბუნება და უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შემოწმების სტანდარტი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკაში

1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლი[1] განამტკიცებს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას.[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა დასახელებულ უფლებასთან მიმართებით მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, მაგრამ თვალსაჩინოდ წარმოაჩენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების მრავალმხრივ უფლებრივ შინაარსს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დასახელებული უფლების შინაარსს კონკრეტული, განსახილველი დავის სპეციფიკის გათვალისწინებით განმარტავს. სასამართლოს ბევრი გადაწყვეტილება არა აქვს მიღებული საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ სასამართლომ საკმაოდ მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი ხედვა უფლების შინაარსის შესახებ. თუმცა, მომავალში სასამართლოს პრაქტიკა, შესაძლოა, განვითარდეს უფლების ფარგლების მკაფიოდ დადგენის მიმართულებით. ასევე, საინტერესო იქნება სასამართლო პრაქტიკაზე დაკვირვება იმ თვალსაზრისით, ყოველთვის გამოიყენებს თუ არა სასამართლო დღეს მოქმედ მკაცრი პროპორციულობის ტესტს უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შესამოწმებლად.

---

[1] პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასთან მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი კონსტიტუციის ტექსტში, მითითებული უფლება გარანტირებული იყო მე-16 მუხლით, ხოლო კონსტიტუციის დღეს მოქმედ რედაქციაში უფლება იმავე სიტყვათა წყობით გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით. შესაბამისად, პრაქტიკის ერთიანობაში წარმოჩენის მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 16 დეკემბრამდე პერიოდის პრაქტიკის ანალიზისას მე-16 მუხლის ნაცვლად მე-12 მუხლზე მოხდება მითითება.

[2] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 12. "ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება."

გასათვალისწინებელია, რომ კონსტიტუციის მე-12 მუხლის შინაარსი, რომელიც სასამართლოს მიერაა შემოთავაზებული, ეხმიანება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების მრავალმხრივ უფლებრივ სეგმენტს. სასამართლოს განმარტებით, დასახელებული უფლების შინაარსი მოიცავს ადამიანის არაერთ უფლებასა და თავისუფლებას, რომლებიც პიროვნების თავისუფალი განვითარების რეალიზაციის საშუალებებად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომელთა განხორციელების გარეშე შეუძლებელია პიროვნების თავისუფალი განვითარების (როგორც უფლების) რეალიზაცია.[3] უფლების შინაარსში სასამართლო მოიაზრებს ადამიანის პიროვნული თვითგამორკვევისა და ავტონომიურობის უფლებას,[4] პიროვნების პირადი ავტონომიით დაცულ სფეროს,[5] ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების საკუთარივე შეხედულებისამებრ წარმართვის თავისუფლებას,[6] გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამოუკიდებლად განსაზღვრის თავისუფლებას, ასევე ინდივიდის ფიზიკურ და სოციალურ იდენტობას.[7] კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცულია პირის ნებისა და ქმედების თავისუფლება როგორც კერძო, ისე საჯარო სივრცეში.[8]

წინამდებარე სტატიის მიზანს არ წარმოადგენს უფლების შინაარსის შესახებ სასამართლოს პრაქტიკის სრულად წარმოჩენა ან საერთოდ უფლების შინაარსის დადგენა. სტატიაში მინიმალურადაა წარმოდგენილი სასამართლოს განმარტებები მე-12 მუხლით გარანტირებული უფლების შინაარსზე, რამდენადაც ეს საჭიროა იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს სტატიაში გამოკვლეული საკითხებში უკეთ გარკვევა.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ინტერესს იწვევს იმის განსაზღვრა, თუ როგორი ბუნება აქვს საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით გარანტირებულ უფლებას და რა სტანდარტს იყენებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შემოწმებისას.

---

[3] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი., გამომცემლობა შპს „პეტატი“, თბილისი, 2013. გვ. 89.

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-54.

[5] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12.

[6] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „“შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს №2/4/570 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-9.

2. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შემავსებელი ბუნება

რამდენადაც კონსტიტუციის დასახელებული მუხლი იცავს არა რომელიმე კონკრეტულ თავისუფლებას, არამედ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, ამდენად ის სუბსიდიარულია სხვა ძირითად უფლებებთან.[9] კერძოდ, თუ მოსარჩელის აზრით დარღვეულია კონსტიტუციით გარანტირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს ხომ არ არის დარღვეული სხვა, ძირითადი უფლებები. თუ დარღვეულია რომელიმე სხვა ძირითადი უფლება, სპეციალურ ნორმებს (უფლებებს) უპირატესი მოქმედების ძალა აქვს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების მიმართ.[10] კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა უფლებასთან მიმართებით სუბსიდიურობა (ანუ დამატებითი ბუნება) გულისხმობს, რომ თუ საქმე გვაქვს კონკრეტული მუხლით გათვალისწინებული რომელიმე უფლების დარღვევასთან, მე-12 მუხლის გამოყენება საჭირო აღარ არის, რამდენადაც გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური ნორმა (*lex specialis*), რომელიც კონკრეტულ უფლებას იცავს.[11] საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა მიუთითებს, რომ ის დასახელებულ უფლებას სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილავს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის სულისკვეთება მოითხოვს, რომ თითოეული უფლების დაცული სფერო შესაბამის კონსტიტუციურ დებულებებში იქნეს ამოკითხული. კონსტიტუციის განმარტების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა უზრუნველყოს კონსტიტუციით დადგენილი წესრიგის დაცვა, კონსტიტუციის დებულებების გააზრება მათი მიზნებისა და ღირებულებების შესაბამისად.[12] აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე ერთი უფლების ცალკეული უფლებრივი კომპონენტისთვის კონსტიტუციით გათვალისწინებულია სპეციალური რეგულაცია, უფლებაში ჩარევის განსხვავებული შინაარსი და ფარგლები, ეჭვგარეშეა, რომ ასეთ დროს ამ უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობა შესაძლებელია და უნდა შეფასდეს მხოლოდ მის მარეგულირებელ სპეციალურ ნორმასთან მიმართებით,

---

[9] თეიმურაზ ტუღუში, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი მშვენიერაძე, გიორგი გოცირიძე, ვახუშტი მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა., სამეცნიერო რედაქტორი მაია კოპალეიშვილი., თბილისი, 2013. გვ. 75.

[10] ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი., გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2005. გვ. 64.

[11] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი., გამომცემლობა შპს „პეტატი“, თბილისი, 2013. გვ. 90.

[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12.

წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება კონსტიტუციურობის საკითხის სწორად გადაწყვეტა.[13]

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლს აქვს შემავსებელი ფუნქცია და იცავს პიროვნების თავისუფალი განვითარების უზოგადესი უფლების ისეთ ასპექტებს, რომლებიც არ არის დაცული აღნიშნული უფლების კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებით გათვალისწინებულ ცალკეულ სეგმენტებში. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნებისმიერი წესი, რომელიც პიროვნების ინდივიდუალურ განვითარებას, მისი ქმედებების ავტონომიურობას ან პიროვნების მიმართ საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების, მისი არჩევანის შესაბამისად განსაზღვრის პრინციპს ზღუდავს, შემხებლობაშია საქართველოს კონსტიტუციით დაცულ ადამიანის პიროვნულ განვითარებასა და პირადი ცხოვრების უფლებებთან.[14]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-12 მუხლი ქმნის კონსტიტუციური დაცვის გარანტიას ურთიერთობებისთვის, რომლებიც არ თავსდება კონსტიტუციის სხვა ნორმებში, თუმცა შეადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების აუცილებელ კომპონენტს.[15] იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების ესა თუ ის უფლებრივი კომპონენტი დაცულია სპეციალური კონსტიტუციური დებულებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი უნდა შეაფასოს არა საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლთან, არამედ - იმ კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებით, რომელიც მოცემული უფლებრივი კომპონენტის კონსტიტუციურსამართლებრივ სტანდარტებს ადგენს.[16] როგორც დასახელებული უფლების მიმართ ჩატარებული კვლევები მიუთითებს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არსებული პრაქტიკა იხრება თავისუფალი განვითარების უფლების რეზიდუალურ გარანტიად მიჩნევისაკენ, კერძოდ კი, აღნიშნული უფლების დაცულ

---

[13] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/7/454 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

[14] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“, II-15.

[15] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-57.

[16]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

სფეროში აქცევს მხოლოდ თავისუფლების იმ ელემენტებს, რომლებიც სხვა სპეციალური უფლებებით არ არის დაცული.[17]

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს განსხვავებული მიდგომა აქვს დარღვეული უფლების ერთდროულად, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლთან (თანასწორობის უფლება) და მე-12 მუხლთან შემოწმების თვალსაზრისით. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცულ უფლებასთან მიმართებით იმსჯელებს იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ სადავო ნორმებით იზღუდება პიროვნების თავისუფალ განვითარებასთან დაკავშირებული ის ასპექტი, რომელიც არ არის დაცული კონსტიტუციის სხვა ნორმებით. აღნიშნული წინაპირობა ვერ იქნება რელევანტური თანასწორობის უფლებასთან მიმართებით, ვინაიდან ამ ნორმის დაცული სფერო არ მიჯნავს საზოგადოებრივ ურთიერთობებს უფლებრივი კუთვნილების თვალსაზრისით, იგი უზრუნველყოფს პირთა შორის თანასწორობის შენარჩუნებას ნებისმიერ სამართალურთიერთობაში.[18]

საინტერესო საკითხია პიროვნების განვითარების თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ურთიერთმიმართება. 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი კონსტიტუციის ტექსტის 20-ე მუხლი პირადი ცხოვრების უფლების ყველა უფლებრივ კომპონენტს არ მოიცავდა, მისი ცალკეული ასპექტები დაცული იყო სხვადასხვა მუხლებით. საკონსტიტუციო სასამართლო პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას პირადი ცხოვრების უფლების იმ უფლებრივი კომპონენტების შემავსებელ უფლებად მიიჩნევდა, რომელიც კონსტიტუციის ცალკეული მუხლებით არ იყო დაცული. მაგალითად, როგორიცაა ოჯახის წევრებთან ურთიერთობა, სახელის და გვარის არჩევის უფლება, სექსუალური იდენტობის განსაზღვრა, პირად სივრცეში თვითცენზურის გარეშე მოქმედება, საჯარო სფეროში გარე სამყაროსთან კავშირების განვითარება და ა.შ. 2018 წლის 16 დეკემბრიდან მოქმედი კონსტიტუციის ტექსტი უფრო ფართო სპექტრით იცავს პირადი ცხოვრების სფეროს. შესაბამისად, მეტი ალბათობა არსებობს იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პირადი ცხოვრების უფლების შემავსებელ უფლებად საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლი ნაკლებად გამოიყენოს.

---

[17] ეკატერინე ლომთათიძე, ნათია ხანთაძე, თავით ზედელაშვილი, პირადი თავისუფლება და ავტონომია., თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა, თბილისი, 2018. გვ. 11.

[18] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-58.

3. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევის შემოწმების სტანდარტი

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით გარანტირებული საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება კონსტიტუციის მეორე თავის ყველაზე მოკლე და კატეგორიული უფლებაა. უფლების ტექსტის ლაკონურობის გამო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას დიდი მნიშვნელობა ენიჭება უფლების შინაარსის ფარგლების დასადგენად. ამასთან, მე-12 მუხლი არ შეიცავს მინიშნებას უფლების შეზღუდვის შესაძლებლობის და საფუძვლების შესახებ, არ განსაზღვრავს უფლების შეზღუდვის შემთხვევაში შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დამდგენი საქართველოს კონსტიტუციის მუხლი პირდაპირ არ ითვალისწინებს უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, მიუხედავად ამისა, ის არ მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა ჯგუფს. ინდივიდის მიერ კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცული უფლების რეალიზაცია არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სხვათა უფლებებს, კონსტიტუციურ წესრიგსა და ლეგიტიმურ საზოგადოებრივ ინტერესებს. აღნიშნული ღირებულებების დაცვის ინტერესი განაპირობებს ადამიანის კონკრეტული ქმედებების/უფლებების შეზღუდვის საჭიროებას.[19]

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს მე-12 მუხლით გარანტირებული უფლების შეზღუდვის შემდეგ ლეგიტიმურ მიზნებს: სხვათა უფლებები, კონსტიტუციით დადგენილი წესრიგი, ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესი. საკონსტიტუციო სასამართლო ლეგიტიმური მიზნის შეფასებისას მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით გარანტირებული უფლების შესაზღუდად სახელმწიფოს უნდა ქონდეს ღირებული ლეგიტიმური მიზანი.

რაც შეხება უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შემოწმებას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იყენებს მკაცრ პროპორციულობის სტანდარტს. სასამართლომ აღნიშნა, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება აერთიანებს მრავალმხრივ, ერთმანეთისგან შინაარსობრივად განსხვავებულ უფლებრივ კომპონენტებს, რაც განაპირობებს ინდივიდუალური მიდგომების აუცილებლობას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული თავისუფლების შეზღუდვა უნდა შეფასდეს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით. პირებს ეკისრებათ თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვის თმენის ვალდებულება იმ შემთხვევაში, როდესაც შეზღუდვა ხდება უპირატესად დაცული, საყოველთაო ინტერესებიდან ან მესამე პირების კონსტიტუციურად დაცული ინტერესებიდან და უფლებებიდან გამომდინარე -

[19] იქვე, II-66.

თანაზომიერების პრინციპის მკაცრი გამოყენების საფუძველზე.[20] სასამართლო მიუთითებს, რომ შეზღუდვამ უნდა ჩამოაყალიბოს სამართლიანი ბალანსი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასა და მასთან ღირებულებათა კონფლიქტში მყოფ სხვა ლეგიტიმურ ინტერესებს შორის.[21]

სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვის გამართლებისათვის აუცილებელია თანაზომიერების პრინციპის დაცვა. „თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.“[22]

ამ მხრივ საინტერესოა სხვა ქვეყნების პრაქტიკა. საქართველოს კონსტიტუციისგან განსხვავებით, მაგალითად, გერმანიის კონსტიტუცია (მუხლი 2, პუნქტი 1) თავად განსაზღვრავს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვის ფარგლებს: სხვათა უფლებები, კონსტიტუციის შესაბამისი წესრიგი, ზნეობის ნორმა. გერმანიის საკონსტიტუციო საამართლომ გადაწყვეტილებებში განმარტა თითოეული ამ შეზღუდვის არსი და მნიშვნელობა.[23]

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მიუთითებს, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შესაფასებლად ყოველთვის მკაცრი პროპორციულობის ტესტი არ გამოიყენება. მაგალითად, ადამიანის პირად სფეროში ჩარევის განსხვავებული შესაძლებლობების გათვალისწინებით, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო ავითარებს სფეროების თეორიას. ამ თეორიის წარმოშობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სასამართლო პრაქტიკას არა აქვს თანმიმდევრული პასუხი კითხვაზე, თუ რას მოიცავს განსაკუთრებით მაღალი ხარისხით დაცული ადამიანის პირადი სფერო.[24] შესაბამისად, სასამართლოს

---

[20] იქვე, II-67.

[21] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის №1/3/1282 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-36.

[22] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60.

[23] ვრცლად იხ. Friedhelm Hufen, Staatsrecht II, Grundrechte, 2. Auflage., Verlag C.H. Brck., 2009, გვ.241.

[24] ეკატერინე ლომთათიძე, ნათია ხანთაძე, თავით ზედელაშვილი, პირადი თავისუფლება და ავტონომია., თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა, თბილისი, 2018. გვ. 82.

პრაქტიკა გამოყოფს ინტიმურ, პირად და სოციალურ სფეროებს. სასამართლო მიიჩნევს, იმისდა მიხედვით, თუ რომელ სფეროში ხდება ჩარევა, უფლება განსხვავებული დაცვით სარგებლობს. ინტიმური სფერო დაცვის აბსოლუტური უფლებით სარგებლობს და მასში ჩარევა დაუშვებელია. პირად სფეროს მიკუთვნებული საკითხების შემოწმებისას სასამართლო მაღალ სტანდარტს ადგენს და მკაცრი თანაზომიერების ტესტით ამოწმებს, სასამართლო ამავე ტესტს უფლებაში განსაკუთრებით მაღალი ინტენსივობით ჩარევის შემთხვევაშიც იყენებს, სოციალურ სფეროში ჩარევას უფრო მსუბუქი სტანდარტით - მარტივი თანაზომიერების ტესტით ამოწმებს.[25] გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოს ამ პრაქტიკის მიმართ არის კრიტიკული მოსაზრებები, ამას ხელს უწყობს ისიც, რომ თვით სასამართლოს პრაქტიკაც არ არის თანმიმდევრული, თუ უფლების რომელ სეგმენტს რომელ სფეროში მოიაზრებს. სასამართლოს არ აქვს მკაცრი კრიტერიუმები სფეროებს შორის მიჯნების დასადგენად.[26]

დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკაში საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებამ საინტერესო განვითარება მიიღო. დასახელებული უფლება იმ უფლებათა რიგს მიეკუთვნება, რომლის უფლებრივი შინაარსი და მისი შეზღუდვის კონსტიტუციურობის შემოწმების სტანდარტი, კონსტიტუციით დაცულ უფლებათა გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში კიდევ უფრო დაკონკრეტდება და განვითარდება.

[25] ამ საკითხზე ვრცლად იხილეთ: ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი., გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2005. გვ. 79.; ეკატერინე ლომთათიძე, ნათია ხანთაძე, თავით ზედელაშვილი, პირადი თავისუფლება და ავტონომია., თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა, თბილისი, 2018. გვ. 82 -88.

[26] Jörn Ipsen , Staatsrecht II, Grundrechte., Wolters Kluwer Deutschland GmbH, Neuwied. Luchterhand., 2003, გვ. 219.